# სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვ ა მ ტ კ ი ც ე ბ"

აუდიტის დეპარტამენტის უფროსის მ/შ

აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

კახაბერ კირტავა

19.12.2013 წელი

2 ეგზ.

# ხულოს მუნიციპალიტეტი

## აუდიტის ანგარიში № 19/105

2012 წლის 1 იანვარი - 2012 წლის 31 დეკემბერი

## სარჩევი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ ........ 3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ........ 3
აუდიტორის პასუხისმგებლობა ........ 3
პირობითი მოსაზრების საფუძვლები ........ 4
პირობითი მოსაზრება ........ 14
მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა ........ 14
სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები ........ 16
სასწრაფო დახმარების ღორჯომის ბრიგადის, აგარის, ხიხაძირის და კურორტ „ბეშუმის" (სეზონურად) სანიტარული მანქანების მომსახურების მიზნობრივი პროგრამა ........ 16
ფინანსურ ანგარიშგებაში იდენტიფიცირებული ნაკლოვანებები ........ 17
ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა ........ 18
ბიუჯეტის შემოსულობები ........ 19
შრომის ანაზღაურება ........ 20
ფინანსური ანგარიშგების ფორმები ........ 22
ხულოს მუნიციპალიტეტის 2012 წლის ბიუჯეტის ბალანსი ........ 31

## დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

აუდიტის დეპარტამენტმა აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში ჩაატარა ხულოს მუნიციპალიტეტის ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი, რომელიც მოიცავს მუნიციპალიტეტის გაწეულ საქმიანობას, ნაერთ ბალანსს 2012 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ნაერთ ანგარიშგებებს ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციები; ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციები, წმინდა ღირებულება, სხვა შემოსავლებიდან მიღებული სახსრების მოძრაობის, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულების ცვლილებებისა და ავტომანქანების ექსპლუატაციაზე გაწეული ხარჯების შესახებ.

## ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია გაწეული საქმიანობის კანონიერებასა და მიზნობრიობაზე, ნაერთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული დებულების „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ", საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" N364 ბრძანების შესაბამისად.

აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

## აუდიტორის პასუხისმგებლობა

აუდიტის დეპარტამენტი აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში პასუხისმგებელია, აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორის მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა

იმგვარად, რომ მიღებულ იქნას დასაბუთებული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა მოცემული ფინანსური ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხებისა და განმარტებითი შენიშვნების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს აუდიტორი განიხილავს, შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი მუნიციპალიტეტის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის, რომ განსაზღვრულიყო მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოთქვას შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის, ასევე მთლიანად ფინანსური ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია პირობითი აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

## პირობითი მოსაზრების საფუძვლები

**1. სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გაფორმებულ ხელშეკრულებებში განხორციელებულმა ცვლილებებმა, საერთო ჯამში, პირველად ფასთან მიმართებაში გამოიწვია მიწოდებულ სამუშაოზე ფასის ზრდა 5 558.6 ლარის ოდენობით, რაც ექვემდებარება ადგილობრივ ბიუჯეტში დაბრუნებას.**

✓ ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ ოქრუაშვილების მინი სპორტული მოედნის მშენებლობის შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერის[1] საშუალებით ხელშეკრულება[2] გაუფორმა შპს „ხუროს“. ხელშეკრულების მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 29 370.2 ლარი. ხელშეკრულებაზე თანდართული ხარჯთაღრიცხვა ითვალისწინებდა გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაფინანსებას 488.02 ლარის ოდენობით დღგ-ს გარეშე. 2012 წლის 30 აგვისტოს გაფორმებული შეთანხმებით, ცვლილებები შევიდა ხარჯთაღრიცხვაში, რომლის შედეგადაც მართალია არ შეცვლილა მისაწოდებელი სამუშაოს ერთეულის ფასები (გარდა ცვლილების შედეგად ხარჯთაღრიცხვაში დამატებული პუნქტისა), მაგრამ მისაწოდებელი სამუშაოს მოცულობების შემცირებისა და გაუთვალისწინებელი სამუშაოებისათვის განკუთვნილი თანხების ხარჯზე დაემატა ახალი პუნქტები ზედნადები ხარჯის (6%) და გეგმიური მოგების (4%) სახით. განხორციელებულმა

[1] SPA120013007
[2] ხელშეკრულება N136, 15/06/2012 წ.

ცვლილებებმა გამოიწვია მიწოდებულ სამუშაოზე ფასის ზრდა 2 728.1 ლარის ოდენობით, რაც ექვემდებარება ადგილობრივ ბიუჯეტში დაბრუნებას.

✓ ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ კულტურის ცენტრის მანსარდის დაშენების, რეკონსტუქციის სამუშაოების შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერის[3] საშუალებით ხელშეკრულება[4] გაუფორმა შპს „უნივერსალ ჯორჯია 2008"-ს. ხელშეკრულების მთლიანმა ღირებულებამ შეადგინა 248 992 ლარი. ხელშეკრულებაზე თანდართული ხარჯთაღრიცხვა ითვალისწინებდა გაუთვალისწინებელი სამუშაოების დაფინანსებას 10 048.1 ლარის ოდენობით დღგ-ს გარეშე. 2012 წლის 8 ნოემბერს გაფორმებული შეთანხმებით, ცვლილებები შევიდა ხარჯთაღრიცხვაში, რომლის შედეგადაც თითქოს შემცირდა მისაწოდებელი სამუშაოს ერთეულის ფასები, სინამდვილეში ხარჯთაღრიცხვას დაემატა ახალი პუნქტები ზედნადები ხარჯის (10%) და გეგმიური მოგების (8%) სახით, რომელთა სამშენებლო სამუშაოს თითოეულ პუნქტზე გადაანგარიშების შემთხვევაში, ხარჯთაღრიცხვის 90 პუნქტიდან 86-ზე ფასი გაიზარდა, 3 პუნქტზე ფასი შემცირდა, ხოლო ერთ პუნქტზე (გათბობის ქვაბის მონტაჟი) შეიცვალა მისაწოდებელი საქონლის მახასიათებლები. განხორციელებულმა ცვლილებებმა გამოიწვია მიწოდებულ სამუშაოზე ფასის ზრდა 2 642.3 ლარის ოდენობით, რაც ექვემდებარება ადგილობრივ ბიუჯეტში დაბრუნებას.

✓ ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ ვაშლოვანის საბავშვო ბაღის შენობის რემონტის სამუშაოების შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერის[5] საშუალებით ხელშეკრულება[6] გაუფორმა ინდ. მეწარმე „რუფეტ ბოლქვაძეს". ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 69 017 ლარი. მიმწოდებლის განცხადების საფუძველზე, 2012 წლის 29 აგვისტოს ხელშეკრულებაში შევიდა ცვლილება, რომლითაც შეიცვალა რამდენიმე სახის სამუშაოს მოცულობა, ასევე დაემატა ორი ახალი სახის სამუშაო. გარდა ამისა, განხორციელდა ერთეულის ფასების ცვლილება და ხარჯთაღრიცხვაში გაჩნდა ახალი პუნქტები ზედნადები ხარჯის (9%) და გეგმიური დაგროვების (8%) სახით. კორექტირებული ხარჯთაღრიცხვით, ხელშეკრულების ჯამურმა ღირებულებამ შეადგინა 69 248 ლარი. პირველადი სატენდერო ფასებით კორექტირების შემთხვევაში, ასევე ორი ახალი სახის სამუშაოს ფასის გათვალისწინებით, ხელშეკრულების ჯამური ღირებულება იქნებოდა 69 059.8 ლარი. განხორციელებულმა ცვლილებებმა გამოიწვია მიწოდებულ სამუშაოზე ფასის ზრდა 188.2 ლარის ოდენობით, რაც ექვემდებარება ადგილობრივ ბიუჯეტში დაბრუნებას.

---

[3] SPA120014526

[4] ხელშეკრულება N158, 28/06/2012 წ.

[5] SPA120014609

[6] ხელშეკრულება N166, 03/07/2012 წ.

2. სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გაფორმებულ ხელშეკრულებებში, მიმწოდებელზე პირგასამტეხლოს დარიცხვის თავიდან ასაცილებლად, ადგილი ჰქონდა, სათანადო საფუძვლის გარეშე, მიწოდების ვადების გაგრძელების შემთხვევებს. აგრეთვე, რიგი ხელშეკრულებების პირობებიდან გამომდინარე, სახელშეკრულებო ვალდებულებათა დროულად შეუსრულებლობის გამო არ არის დარიცხული პირგასამტეხლო, რის გამოც შესაბამის მიმწოდებლებზე ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით დარიცხვას ექვემდებარება 15 495.7 ლარი.

✓ ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ საკანალიზაციო სისტემის დამატებითი შტოების მოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერის[7] საშუალებით ხელშეკრულება გაუფორმა შპს „მაჯას". ხელშეკრულებით[8] სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 59 დღე, შესაბამისად 2011 წლის 11 ნოემბერი. ხელშეკრულებაში 2011 წლის 16 ნოემბერს, მიწოდების ვადის გასვლის შემდეგ, შევიდა ცვლილება და საბოლოო მიწოდების ვადად განისაზღვრა 2011 წლის 20 დეკემბერი. მიწოდების ვადის დასრულების დღეს მხარეებს შორის გაფორმდა ახალი შეთანხმება, რომლითაც სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2012 წლის 25 მაისი. სათანადო საფუძვლის გარეშე, მიწოდების ვადების გაგრძელება მაღალი რისკის შემცველია და შესაძლოა, მიმწოდებელზე პირგასამტეხლოს დარიცხვის[9] თავიდან ასაცილებლად იყოს მიმართული. შესრულებული სამუშაოს საბოლოო მიწოდება განხორციელდა 2012 წლის 12 აგვისტოს, თუმცა პირგასამტეხლოს დარიცხვა განხორციელდა არა მთლიან მიუწოდებელ ღირებულებაზე, არამედ მხოლოდ ნაწილზე. საფუძვლად აღებულია შპს „მაჯას" წერილი და ტექნიკური ზედამხედველის მოხსენებითი ბარათი, თუმცა მათი დროსთან ავთენტურობა არ დგინდება, რადგან არცერთი მათგანი არ არის რეგისტრირებული მუნიციპალიტეტის გამგეობის კანცელარიაში. შესაბამისად, მიმწოდებლისთვის ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ პირგასამტეხლოს სახით დარიცხვას ექვემდებარებოდა **3 223.3** ლარი, ნაცვლად **771.8** ლარისა.

✓ ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ დაბა ხულოს სკვერებისა და გაზონების აღდგენის სამუშაოების შესყიდვაზე გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე[10] ხელშეკრულება[11] გაუფორმა შპს „უნივერსალი - 2010"-ს. ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 195 000 ლარი. მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე, 2012 წლის 8 ნოემბერს მხარეებს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლითაც 4 134 ლარით გაიზარდა ხელშეკრულების ღირებულება და მიწოდების ვადა 2012 წლის 9 ნოემბრიდან გაგრძელდა 2012 წლის 4 დეკემბრის ჩათვლით. ფასის ზრდა გამოწვეულია ზოგიერთი სამუშაოს ნაწილობრივ ცვლილებით. კერძოდ,

---

[7] SPA110020500
[8] ხელშეკრულება N247, 13/09/2011 წ.
[9] მაქსიმუმ 6 850 ლარი (2012 წელს)
[10] ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება N78, 06/08/2012 წ.
[11] ხელშეკრულება N249, 21/08/2012 წ.

თეატრის შენობის წინ მოსაწყობი გაზონების და მცირე ზომის ხეივნის ნაცვლად მოეწყო ბეტონის ფილები ბორდიურებით. კონტროლის განმახორციელებელი კომისიის სხდომის ოქმიდან [12] ირკვევა, ის სამუშაო, რის გამოც გაიზარდა ხელშეკრულების ღირებულება, შემსყიდველის მოთხოვნით 2012 წლის 7 ნოემბრისთვის უკვე შესრულებული იყო, შესაბამისად ამ საფუძვლით მიწოდების ვადის გაგრძელება გონივრულ საფუძველს მოკლებულია. სათანადო საფუძვლის გარეშე, მიწოდების ვადების გაგრძელება მაღალი რისკის შემცველია და შესაძლოა, მიმწოდებელზე პირგასამტეხლოს დარიცხვის [13] თავიდან ასაცილებლად იყოს მიმართული. გარდა ამისა, ზემოაღნიშნული ოქმიდან ირკვევა, რომ მიმწოდებელმა რიგი სამუშაოს ნაწილობრივი ცვლილება განახორციელა ხელშეკრულებაში შესაბამისი ცვლილების განხორციელებამდე, რითაც დარღვეულია ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 12.1 პუნქტი. მიმწოდებლის ინფორმაციით[14], სამშენებლო სამუშაოები 2012 წლის 4 დეკემბრისთვის უკვე დასრულებული იყო, ტექნიკური ზედამხედველის მოხსენებითი ბარათის[15] თანახმად კი სამუშაოები დასრულდა 2012 წლის 7 დეკემბერს. რისკის შემცველია ზემოაღნიშნული ინფორმაციის ნამდვილობა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ თუ სამუშაოები ნამდვილად 2012 წლის 7 დეკემბრისთვის დასრულდა, აღნიშნულის თაობაზე შემსყიდველს რატომ არ ეცნობა 2012 წლის 27 დეკემბრამდე. მნიშვნელოვანია, რომ შესრულებული სამუშაოების აქტი დათარიღებულია 2012 წლის 27 დეკემბრით. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ მიმწოდებელი თავის 2012 წლის 4 დეკემბრის წერილში წერს, რომ სამუშაოები დასრულებულია და სათანადო მასალები ექსპეტიზისთვის უკვე წარდგენილია სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროში", თუმცა აღნიშნული ბიუროს დასკვნიდან[16] ირკვევა, რომ განცხადებით მიმწოდებელმა მხოლოდ 2012 წლის 10 დეკემბერს მიმართა. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, არ დგინდება სამშენებლო სამუშაოების 2012 წლის 7 დეკემბრისთვის დასრულება. არსებულ მასალებზე დაყრდნობით, ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით პირგასამტეხლოს სახით დარიცხვას ექვემდებარება **3 982.7** ლარი.

✓ ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ ყოფილი საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოს შენობის რეკონსტრუქცია-რემონტის სამუშაოების შესყიდვაზე გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საფუძველზე [17] ხელშეკრულება [18] გაუფორმა ინდ. მეწარმე „გოჩა აბაშიძეს". სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2011 წლის 27 დეკემბერი, რაც შესასრულებელი

---

[12] ოქმი N7, 07/11/2012 წ.

[13] მაქსიმუმ 4 978.4 ლარი

[14] შპს „უნივერსალი - 2010" -ის წერილი 04/12/2012 წ.

[15] ტექნიკური ზედამხედველის მოხსენებითი ბარათი 27/12/2012 წ.

[16] ექსპერტის დასკვნა N010224412, 25/12/2012 წ.

[17] საქართველოს მთავრობის განკარგულება N2097, 28/11/2011 წ.

[18] ხელშეკრულება N315, 25/11/2011 წ.

სამუშაოს მოცულობისა და კლიმატური პირობების გათვალისწინებით არასათანადო დაგეგმვაზე მიუთითებს. მიწოდების ვადის დასრულების დღეს მხარეებს შორის გაფორმდა შეთანხმება[19], რომლითაც სამუშაოების დასრულების ვადა გაგრძელდა 2012 წლის 25 მაისის ჩათვლით. ვადის შეცვლას საფუძვლად დაედო უამინდობა, რაც დაბა ხულოსთვის აღნიშნულ პერიოდში ვერ იქნება განხილული ფორს-მაჟორულ გარემოებად, მითუმეტეს თანდართული ცნობით დგინდება, რომ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისთვისაც აღინიშნებოდა 110 სმ ნალექი თოვლის სახით. მიმწოდებელმა აღნიშნულ ვადაშიც ვერ შეძლო სამუშაოების დასრულება. ვადის გასვლის დღეს, 2012 წლის 25 მაისს გაფორმდა ახალი შეთანხმება, რომლითაც მოცულობების გაზრდის გამო 9 687 ლარით გაიზარდა ხელშეკრულების ჯამური ღირებულება და შეადგინა 238 187 ლარი, საბოლოო მიწოდების ვადა კი გაგრძელდა 2012 წლის 15 ივნისამდე. გონივრულ საფუძველს მოკლებულია 9 687 ლარის ღირებულების სამუშაოს შესრულებისთვის ვადის 21 დღით გაგრძელება, როდესაც მთლიანი სამუშაოსთვის (ღირებულება 228 500 ლარი) მხოლოდ 32 დღე იყო გათვალისწინებული. სათანადო საფუძვლის გარეშე, მიწოდების ვადების გაგრძელება მაღალი რისკის შემცველია და შესაძლოა, მიმწოდებელზე პირგასამტეხლოს დარიცხვის[20] თავიდან ასაცილებლად იყოს მიმართული. წარმოდგენილი დოკუმენტაციით, მიმწოდებელის განცხადება სამუშაოების დასრულების თაობაზე თარიღდება 2012 წლის 15 ივნისით[21]. შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა 2012 წლის 26 ივლისს, რომელშიც შესრულებული სამუშაოების აქტის (ფორმა N2) თარიღად მითითებულია 2012 წლის 17 ივლისი, თუმცა საქმეში არსებულ შესრულებული სამუშაოების აქტს (ფორმა N2) თარიღი საერთოდ არ აქვს. ამასთან, ტექნიკური ზედამხედველი 2012 წლის 20 ივლისს[22] ადასტურებს სამშენებლო სამუშაოების დასრულებას. შესაბამისად, მიმწოდებლისთვის, ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ, პირგასამტეხლოს სახით დაკისრებას ექვემდებარება **8 574.7** ლარი.

✓ ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ ხულო-თაგო ბაგირგზის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერის[23] საშუალებით ხელშეკრულება[24] გაუფორმა შპს „დიოკნისს". ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 42 644 ლარი. ხელშეკრულება გაფორმდა 2011 წლის 21 ნოემბერს, ხოლო სამუშაოების შესრულების ვადად განისაზღვრა 2011 წლის 25 დეკემბერი, რაც შესასრულებელი სამუშაოების სპეციფიკურობისა და კლიმატური პირობების გათვალისწინებით არასათანადო დაგეგმვაზე მიუთითებს. სამუშაოების მიწოდების ვადის დასრულებამდე 2 დღით ადრე მხარეებს შორის

---

[19] შეთანხმება 27/12/201 წ.

[20] მაქსიმუმ 38 134.4 ლარი (2012 წელს)

[21] ინდ. მეწარმე „გოჩა აზაშიძის" განცხადება N1003, 15/06/2012 წ.

[22] მოხსენებითი ბარათი N1357, 20/07/2012 წ.

[23] SPA110026289

[24] ხელშეკრულება N313, 21/11/2011 წ.

გაფორმდა შეთანხმება[25], რომლითაც სამუშაოების დასრულების ვადა გაგრძელდა 2012 წლის 15 აპრილამდე. ვადის შეცვლას საფუძვლად დაედო უამინდობა, რაც დაბა ხულოსთვის აღნიშნულ პერიოდში ვერ იქნება განხილული ფორს-მაჟორულ გარემოებად. მიმწოდებელმა აღნიშნულ ვადაშიც ვერ უზრუნველყო ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. მხარეებს შორის, 2012 წლის 12 აპრილს, ხელშეკრულების ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადის ამოწურვამდე სამი დღით ადრე გაფორმდა ახალი შეთანხმება[26], რომლითაც სამუშაოების შესრულების ვადა გაგრძელდა 15 მაისამდე, ხოლო ვადის შეცვლას კვლავ უამინდობა დაედო საფუძვლად. როგორც მოწოდებული მასალებით ირკვევა, 2011 წლის 23 დეკემბრისათვის მიმწოდებელს შესრულებული ჰქონდა 8 748 ლარის[27] ღირებულების სამუშაოები, 15 მაისისთვის - 11 944 ლარის[28] ღირებულების სამუშაოები და დარჩენილი სამუშაოები, საბოლოოდ 4 ივნისისთვის[29] დასრულდა. შესაბამისად, მიმწოდელისთვის, ადგილობრივი ბიუჯეტის სასარგებლოდ, პირგასამტეხლოს სახით დაკისრებას ექვემდებარებოდა 572.7 ლარი, ნაცვლად 85.9 ლარისა. გარდა ამისა, სათანადო საფუძვლის გარეშე, მიწოდების ვადების გაგრძელება მაღალი რისკის შემცველია და შესაძლოა, მიმწოდებელზე პირგასამტეხლოს დარიცხვის[30] თავიდან ასაცილებლად იყოს მიმართული.

✓ ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ დაბა ხულოს საჯარო სკოლის და საბავშვო სკვერის შემოღობვის სამუშაოების შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერის[31] საშუალებით ხელშეკრულება[32] გაუფორმა ინდ. მეწარმე „ირაკლი აბაშიძეს". ხელშეკრულებით სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 დღე, შესაბამისად 2011 წლის 21 დეკემბერი. მიწოდების ვადის დასრულების დღეს, მხარეებს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლითაც სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2012 წლის 25 მაისი. ხელშეკრულების ცვლილებას საფუძვლად დაედო უამინდობა, რაც შესაბამის პერიოდში ხულოს კლიმატური პირობების გათვალისწინებით ფორს-მაჟორულ გარემოებად ვერ განიხილება, თანაც ხელშეკრულებით მიწოდების ვადა იყო ერთი თვე, ხოლო ცვლილებით ვადა გაგრძელდა კიდევ 5 თვით, რაც გონივრულ საფუძველს მოკლებულია. სათანადო საფუძვლის გარეშე, მიწოდების ვადების

[25] შეთანხმება 23/12/2011 წ.

[26] შეთანხმება 12/04/2012 წ.

[27] წარმოდგენილი შესრულებული სამუშაოების შუალედური აქტი N1 (ფორმაN2) 23/12/2011 წ.

[28] მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის მოხსენებითი ბარათი 16/05/2012 წ., ტექნიკური ზედამხედველის მოხსენებითი ბარათი 17/05/2012 წ.

[29] ზედამხედველობის სამსახურის უფროსის მოხსენებითი ბარათი 04/06/2012 წ., ტექნიკური ზედამხედველის მოხსენებითი ბარათი 04/06/2012 წ., საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა N0498424, 05/06/2012 წ., შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი N2, 05/06/2012 წ.

[30] მაქსიმუმ 4 805 ლარი

[31] SPA110025803

[32] ხელშეკრულება N311, 21/11/2011 წ.

გაგრძელება მაღალი რისკის შემცველია და შესაძლოა, მიმწოდებელზე პირგასამტეხლოს დარიცხვის[33] თავიდან ასაცილებლად იყოს მიმართული.

✓ ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ დაბა ხულოს შავაძის ქ. N12-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის სახურავის შეცვლის სამუშაოების შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერის[34] საშუალებით ხელშეკრულება[35] გაუფორმა შპს „გიგაურს". ხელშეკრულებით სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 დღე, შესაბამისად 2011 წლის 9 დეკემბერი. მიწოდების ვადის დასრულების დღეს, მხარეებს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლითაც სამუშაოების დასრულების ვადად განისაზღვრა 2012 წლის 25 მაისი. ხელშეკრულების ცვლილებას საფუძვლად დაედო უამინდობა, რაც შესაბამის პერიოდში ხულოს კლიმატური პირობების გათვალისწინებით ფორს-მაჟორულ გარემოებად ვერ განიხილება, თანაც ხელშეკრულებით მიწოდების ვადა იყო ერთი თვე, ხოლო ცვლილებით ვადა გაგრძელდა კიდევ 5 თვით, რაც გონივრულ საფუძველს მოკლებულია. სათანადო საფუძვლის გარეშე, მიწოდების ვადების გაგრძელება მაღალი რისკის შემცველია და შესაძლოა, მიმწოდებელზე პირგასამტეხლოს დარიცხვის[36] თავიდან ასაცილებლად იყოს მიმართული.

✓ ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ საციხურის კულტურის სახლის სახურავის სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე გამარტივებული შესყიდვის საფუძველზე[37] ხელშეკრულება[38] გაუფორმა ინდ. მეწარმე „ამირან მარკოიძეს". ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 40 569 ლარი. სამუშაოს დასრულების ვადად განისაზღვრა 2012 წლის 10 ნოემბრის ჩათვლით. მიმწოდებლის მოთხოვნის საფუძველზე, 2012 წლის 8 ნოემბერს მხარეებს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლითაც სამუშაოს მიწოდების ვადა გაგრძელდა 2012 წლის 24 ნოემბრის ჩათვლით. მიწოდების ვადის გაგრძელებას საფუძვლად დაედო სამშენებლო ობიექტში საციხურის საარჩევნო უბნის განთავსების გამო სამუშაოების დროებით შეჩერება. ვადის გაგრძელების არგუმენტაცია რისკის შემცველია[39] და შესაძლოა, მიმწოდებელზე პირგასამტეხლოს დარიცხვის[40] თავიდან ასაცილებლად იყოს მიმართული.

✓ ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ ბათუმი–ახალციხის გზის მიმდებარე ინფრასტრუქტურის უსახური ობიექტების დემონტაჟისა და კეთილმოწყობა–მოწესრიგების სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გამოაცხადა გამარტივებული ელექტრონული ტენდერი[41]. ელექტრონული ტენდერის

---

[33] მაქსიმუმ 2 810 ლარი

[34] SPA110025241

[35] ხელშეკრულება N303, 09/11/2011 წ.

[36] მაქსიმუმ 562.1 ლარი

[37] აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის განკარგულება N155, 31/07/2012 წ.

[38] ხელშეკრულება N259, 09/09/2012 წ.

[39] ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტისათვის მხარეთათვის ცნობილი იყო არჩევნების თარიღი

[40] მაქსიმუმ 568 ლარი

[41] SPA120013390

კლასიფიკატორის კოდად მითითებულია 45100000 - სამშენებლო უბნის მოსამზადებელი სამუშაოები, თუმცა სატენდერო დოკუმენტაციით შესყიდვა გამოცხადდა არა მხოლოდ სამშენებლო უბნის მოსამზადებელ სამუშაოებზე, არამედ მესამე პირებისთვის გადასაცემ სამშენებლო მასალებზეც. აღნიშნული ქმედებით მნიშვნელოვნად შეიზღუდა პოტენციურ პრეტენდენტთა წრე, რამაც შესაძლოა გამოიწვია ტენდერში მხოლოდ ერთი პირის მონაწილეობა. მიმწოდებელთან - ინდ. მეწარმე „გოჩა აბაშიძესთან" გაფორმებული ხელშეკრულების[42] ღირებულებამ შეადგინა 48 870 ლარი, ხოლო სამუშაოს მიწოდების ვადად განისაზღვრა ხელშეკრულების ხელმოწერიდან 30 დღე - 2012 წლის 27 ივნისის ჩათვლით. მიწოდების ვადის ბოლო დღეს მხარეებს შორის გაფორმდა შეთანხმება, რომლითაც ხელშეკრულების ჯამური ღირებულების პრაქტიკულად შეუცვლელად (შეცვლილმა ღირებულებამ შეადგინა 48 791 ლარი), ცვლილებები განიცადა მისაწოდებელი სამუშაოს და საქონლის მოცულობებმა და მიწოდების ვადა გაგრძლდა 13 დღით - 2012 წლის 10 ივლისის ჩათვლით. შეთანხმებით, ახალი სახის სამუშაოები დაემატა სხვა სახის სამუშაოების შემცირების ხარჯზე, რის გამოც ეფექტურ მოქმედებად ვერ განიხილება ამ საფუძვლით მიწოდების ვადის გაგრძელება. შესაბამისად, მიწოდების ვადების გაგრძელება რისკის შემცველია და შესაძლოა, მიმწოდებელზე პირგასამტეხლოს დარიცხვის[43] თავიდან ასაცილებლად იყოს მიმართული.

**3. სამშენებლო სამუშაოს მიღება-ჩაბარების დროს ადგილი ჰქონდა ერთიდაიგივე სამუშაოს შესრულებისათვის განმეორებით ანაზღაურების შემთხვევას. ზედმეტად გადახდილი 2 041.6 ლარი ექვემდებარება ადგილობრივ ბიუჯეტში დაბრუნებას.**

✓ ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ ა(ა)იპ „ხულოს სახელოვნებო სკოლის" რემონტის (რეკონსტუქციის) სამუშაოების შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერის[44] საშუალებით ხელშეკრულება[45] გაუფორმა შპს „ზუბა 2002"-ს. 2012 წლის 29 აგვისტოს გაფორმებული შეთანხმებით შეიცვალა ხარჯთაღრიცხვა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების შეუცვლელად. შეცვლილ ხარჯთაღრიცხვაში, გარდა დამატებული ახალი სამუშაოებისა, გაჩნდა პუნქტები ზედნადები ხარჯის (4%) და გეგმიური მოგების (2%) სახით, რომელიც ცალკე გამოიყო ერთეულის ფასებიდან, თუმცა კორექტირება შეეხო არა მხოლოდ დარჩენილ შესასრულებელ სამუშაოს, არამედ უკვე განხორციელებულ მიწოდებასაც. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ პუნქტზე, რომლის მიწოდებაც და შესაბამისად, გადახდაც იმ დროისათვის უკვე განხორციელებული იყო, ფასები ფორმალურად შემცირდა. ბოლო მიწოდების დროს[46], შესრულებული სამუშაოს აქტში (ფორმა N2)

---

[42] ხელშეკრულება N99, 29/05/2012 წ.
[43] მაქსიმუმ 1 585.7 ლარი
[44] SPA120008639
[45] ხელშეკრულება N70, 23/04/2012 წ.
[46] 20 სექტემბერი 2012 წ.

შეტანილი იქნა 14.3 კვ.მ მეტალოპლასტმასის ფანჯრების და ფრამუგების მოწყობა (ღირებულება 1359 ლარი) და 25 კვ.მ სცენის მოწყობა (ღირებულება 272 ლარი), რომლის მიწოდებაც არსებული დოკუმენტაციით განხორციელდა 2012 წლის 29 ივნისს და შესაბამისად, ანაზღაურებული იქნა ღირებულება[47] . ამასთან, სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს" დასკვნაზე [48] თანდართულ შესრულებული სამუშაოს აქტში (ფორმა N2) არ არის შეტანილი ზემოაღნიშნული შუალედური მიწოდებებით განხორციელებული სამუშაოების ჯამური მოცულობა და იგი წარმოდგენილია სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებული ოდენობის სახით. ამდენად, სახეზეა უკვე შესრულებული და ანაზღაურებული სამუშაოსათვის განმეორებით ანაზღაურების შემთხვევა, რის გამოც ადგილობრივ ბიუჯეტში დაბრუნებას ექვემდებარება 2 041.6 ლარი.

**4. საქონლის მიწოდების თაობაზე გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტებისა და შესაბამისი საქონლის ტრანსპორტირებაზე გამოწერილი სასაქონლო ზედნადებების თარიღები რიგ შემთხვევებში არ არის იდენტური. ხელშეკრულებათა პირობებიდან გამომდინარე, მიმწოდებელთათვის პირგასამტეხლოს სახით დაკისრებას ექვემდებარება 2 564 ლარი, სხვა შემთხვევაში ადგილი აქვს სამეწარმეო საქმიანობისათვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებას.**

✓ ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ სოფელ ჭერის სასმელი წყლის ახალი ხაზის მოსაწყობად 2000 მ პოლიეთილენის მილის (დ=50 მმ) და 400 მეტრი ბაგირის შესყიდვაზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ხელშეკრულება [49] გაუფორმა ინდ. მეწარმე „ვახტანგ სურმანიძეს". ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 8 900 ლარი, ხოლო საქონლის მიწოდების ვადად განისაზღვრა 2012 წლის 31 აგვისტომდე პერიოდი. საქონლის მიწოდებაზე მიმწოდებლის განცხადება თარიღდება 2012 წლის 31 აგვისტოს რიცხვით, ასევე 2012 წლის 31 აგვისტოს რიცხვით თარიღდება მიღება-ჩაბარების აქტი, რომელიც გაფორმებულია სოფლის რწმუნებულსა [50] და მიმწოდებელს შორის, თუმცა სასაქონლო ზედნადები გამოწერილია 2012 წლის 28 სექტემბერს[51]. საქონლის 2012 წლის 28 სექტემბერს მიწოდების შემთხვევაში, მიმწოდებლისთვის პირგასამტეხლოს სახით დაკისრებას ექვემდებარება 2 492 ლარი, სხვა შემთხვევაში ადგილი აქვს სამეწარმეო საქმიანობისათვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებას.

✓ ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ მილების და სხვა მასალების შესყიდვაზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით ხელშეკრულება[52] გაუფორმა

---

[47] საგადახდო დავალება N36, 09/07/2012 წ.
[48] ექსპერტის დასკვნა N041105-2012/08/4, 07/11/2012 წ.
[49] ხელშეკრულება N197, 23/07/2012 წ.
[50] მიღება-ჩაბარების აქტში მითითებულია სოფლის გამგებელი
[51] სასაქონლო ზედნადები Nელ-0032331237, 28/09/2012 წ.
[52] ხელშეკრულება N160, 29/06/2012 წ.

შპს „4444"-ს. ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 72 817 ლარი, ხოლო საქონლის მიწოდების ვადად განისაზღვრა 2012 წლის 19 ივლისამდე პერიოდი. საქონლის მიწოდებაზე მიმწოდებლის განცხადება თარიღდება 2012 წლის 19 ივლისით, თუმცა სასაქონლო ზედნადები მიწოდებული საქონლის ნაწილზე გამოწერილია 2012 წლის 20 ივლისს[53]. საქონლის მიწოდების 2012 წლის 20 ივლისს დასრულების შემთხვევაში, მიმწოდებლისთვის პირგასამტეხლოს სახით დაკისრებას ექვემდებარება 72 ლარი, სხვა შემთხვევაში ადგილი აქვს სამეწარმეო საქმიანობისათვის საქონლის სასაქონლო ზედნადების გარეშე ტრანსპორტირებას.

**5. ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მხრიდან ადგილი ჰქონდა 26 273.8 ლარის ოდენობის წინასწარ ანგარიშსწორებას საბანკო გარანტიის გარეშე**

✓ ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ ხულოს საარჩევნო ოლქის შენობის რემონტის (რეკონსტრუქციის) სამუშაოების შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერის [54] საშუალებით ხელშეკრულება [55] გაუფორმა შპს „გარანტი-2007" -ს. ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 44 838 ლარი. შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმდა 2012 წლის 8 აგვისტოს, თუმცა გადასახდელი თანხის 85% - 25 570 ლარი, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით[56], მიმწოდებლისთვის გადარიცხული იქნა 2012 წლის 9 ივლისს. შესაბამის ბრძანებას საფუძვლად დაედო ტექნიკური ზედამხედველის მოხსენებითი ბარათი[57], რომლის თანახმად 2012 წლის 20 ივნისისთვის მიმწოდებელმა დაასრულა სამშენებლო სამუშაოები. ხელშეკრულების თანახმად, ანგარიშსწორება მიმწოდებელთან, მათ შორის ეტაპობრივის, ხორციელდება სამუშაოზე მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და ანგარიშ-ფაქტურის წარდგენიდან 15 სამუშაო დღის განმავლობაში. ამდენად, სახეზეა წინასწარი ანგარიშსწორება სათანადო გარანტიის გარეშე[58].

✓ ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ დაბა ხულოში ფასადების (საყრდენი კედლების და მრავალბინიანი სახლების) შეღებვის სამუშაოების შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერის[59] საშუალებით ხელშეკრულება[60] გაუფორმა შპს „დიოკნისს". ხელშეკრულების ღირებულებამ შეადგინა 63 720 ლარი. სახელშეკრულებო ხარჯთაღრიცხვა ითვალისწინებდა რეზერვის თანხას გაუთვალისწინებელ სამუშაოზე 1 855.4 ლარის ოდენობით (დღგ-ს ჩათვლით).

---

[53] სასაქონლო ზედნადები Nელ-0019607382, 20/07/2012 წ.
[54] SPA120004677
[55] ხელშეკრულება N53, 22/03/2012 წ.
[56] ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანება N01-20/228, 05/07/2012 წ.
[57] მოხსენებითი ბარათი N1040, 20/06/2012 წ.
[58] დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის $21^1$-ე მუხლის 1-ლი პუნქტი
[59] SPA120012761
[60] ხელშეკრულება N130, 12/06/2012 წ.

ტექნიკური ზედამხედველის მოხსენებითი ბარათიდან[61] ირკვევა, რომ 2012 წლის 21 აგვისტოსთვის, რეზერვის თანხის ღირებულების გაუთვალისწინებელი სამუშაო არ იყო შესრულებული. არსებული დოკუმენტაციით, სარეზერვო თანხის ღირებულების ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი სამუშაო შესრულდა 2012 წლის 21 აგვისტოდან 24 აგვისტომდე პერიოდში. შესაბამისად, გაურკვეველია, 2012 წლის 10 აგვისტოს, ხელშეკრულების პირობების შესრულების კონტროლის განმახორციელებელმა კომისიამ, 703.8 ლარის (დღგ-ს ჩათვლით) ღირებულების, რა სახის გაუთვალისწინებელი სამუშაო ჩაიბარა, რომელიც შემდგომში ანაზღაურებული იქნა. ამდენად, სახეზეა წინასწარი ანგარიშსწორება სათანადო გარანტიის გარეშე[62].

## პირობითი მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, გარდა „პირობითი მოსაზრების საფუძვლების" საკითხების შესაძლო გავლენისა, მუნიციპალიტეტის გაწეული საქმიანობა და 2012 წლის 31 დეკემბრის ნაერთი ფინანსური ანგარიშგება ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებულია „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულების, „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ" ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2008 წლის 16 აპრილის „ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ" N364 ბრძანების შესაბამისად.

## მნიშვნელოვან საკითხთა ხაზგასმა

✓ სამშენებლო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულებები, რომელთა ტექსტი ძირითადად იდენტურია, ორმაგი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა განხორციელებული სამუშაოს მიწოდების ვადა. ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ დამკვიდრებული პრაქტიკით, სამუშაოს დასრულების ვადად მიჩნეულია მიმწოდებლის მიერ აღნიშნულის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგეობაში სათანადო ინფორმაციის/

[61] მოხსენებითი ბარათი N1635, 21/08/2012 წ.

[62] დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის $21^1$-ე მუხლის 1-ლი პუნქტი

განცხადების წარდგენის თარიღი. რიგ ხელშეკრულებებთან [63] დაკავშირებით, არსებული ინფორმაცია ურთირთგამომრიცხველი ან/და დაუსაბუთებელია, რის გამოც ხელშეკრულების შესრულების თარიღის ნამდვილობა რისკის შემცველია.

✓ ხულოს მუნიციპალიტეტის მხრიდან, ხელშეკრულებაში სათანადო წესით [64] ცვლილების გაფორმების გარეშე ადგილი ჰქონდა ხელშეკრულების პირობების ცვლილებებს. მათ შორის, რიგ შემთხვევებში შეცვლილია მისაწოდებელი სამუშაოს მოცულობები, ან/და დამატებულია ახალი სახის სამუშაო [65], ასევე ცალკე გამოყოფილია ზედნადები ხარჯები და გეგმიური დაგროვება (მოგება)[66]. შესყიდვის ელექტრონული/ გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით განხორციელების შემთხვევაში დარღვეულია სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 07 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის" მე-20 მუხლის 1-ლი პუნქტი, ხოლო გამარტივებული შესყიდვის შემთხვევაში - შესაბამის ხელშეკრულებათა 7.4 პუნქტი.

✓ სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით გაფორმებულ ხელშეკრულებებში [67], დადგენილი წესით დაუცველად, განხორციელდა ცვლილებები, რომლითაც მისაწოდებელი სამუშაოს მოცულობების გაზრდასთან ან/და შემცირებასთან ერთად, დამატებული იქნა ახალი სახის სამუშაოები. განხორციელებული ცვლილება, თავისი შინაარსით ახალი შესყიდვაა, რაც უნდა განხორციელებულიყო შესყიდვის იგივე საშუალებით[68].

---

[63] ხელშეკრულება N130, 12/06/2012 წ., ხელშეკრულება N163, 02/07/2012 წ., ხელშეკრულება N164, 03/07/2012 წ., ხელშეკრულება N188, 17/07/2012 წ., ხელშეკრულება N195, 20/07/2012 წ., ხელშეკრულება N200, 25/07/2012 წ., ხელშეკრულება N232, 10/09/2012 წ., ხელშეკრულება N254, 27/08/2012 წ., ხელშეკრულება N258, 04/09/2012 წ.

[64] წერილობითი ფორმით

[65] ხელშეკრულება N178, 12/07/2012 წ.

[66] ხელშეკრულება N101, 31/05/2012 წ., ხელშეკრულება N103, 31/05/2012 წ., ხელშეკრულება N130, 12/06/2012 წ., ხელშეკრულება N143, 20/06/2012 წ., ხელშეკრულება N147, 22/06/2012 წ., ხელშეკრულება N151, 25/06/2012 წ., ხელშეკრულება N152, 27/06/2011 წ., ხელშეკრულება N157, 27/06/2012 წ., ხელშეკრულება N158, 28/06/2012 წ., ხელშეკრულება N162, 02/07/2012 წ., ხელშეკრულება N164, 03/07/2012 წ., ხელშეკრულება N166, 03/07/2012 წ., ხელშეკრულება N167, 04/07/2012 წ., ხელშეკრულება N170, 05/07/2012 წ., ხელშეკრულება N174, 09/07/2012 წ., ხელშეკრულება N176, 12/07/2012 წ., ხელშეკრულება N185, 16/07/2012 წ., ხელშეკრულება N186, 17/07/2012 წ., ხელშეკრულება N187, 17/07/2012 წ., ხელშეკრულება N188, 17/07/2012 წ.

[67] ხელშეკრულება N152, 27/06/2011 წ., ხელშეკრულება N70, 23/04/2012 წ., ხელშეკრულება N166, 03/07/2012 წ., ხელშეკრულება N249, 21/08/2012 წ.

[68] დარღვეულია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ჟ" ქვეპუნქტი

## სხვა მნიშვნელოვანი გარემოებები

### სასწრაფო დახმარების ღორჯომის ბრიგადის, აგარის, ხიხაძირის და კურორტ „ბეშუმის“ (სეზონურად) სანიტარული მანქანების მომსახურების მიზნობრივი პროგრამა

პროგრამა დამტკიცებულია ხულოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2012 წლის 27 იანვარის N7 განკარგულებით. პროგრამის ბიუჯეტი განისაზღვრა 108 700 ლარით. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი პირების განმარტებით, პროგრამა შემუშავებული იქნა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან სიტყვიერი შეთანხმებით.

ამ ტიპის მომსახურებას, საქართველოს მთავრობის დადგენილებით [69] დამტკიცებული სასწრაფო გადაუდებელი დახმარების და სამედიცინო ტრანსპორტირების პროგრამით [70], ხულოს მუნიციპალიტეტში, საქართველოს ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს კოორდინაციით, ახორციელებს სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“, შპს „უნიმედი აჭარას“ საშუალებით. პროგრამით გათვალისწინებულია ხულოს მუნიციპალიტეტში 3 სასწრაფო ბრიგადის დაფინანსება. ამასთან, პროგრამით შესაძლებელია გამონაკლისის დაშვება გეოგრაფიული და ფიზიკური ხელმისაწვდომობის მაქსიმალური უზრუნველყოფის მიზნით [71], თუმცა მუნიციპალიტეტს სათანადო დაწესებულებებისთვის არ მიუმართავს გამონაკლისის წესით ბრიგადების დამატების თაობაზე.

პროგრამით განსაზღვრული მომსახურების შესყიდვის მიზნით გამარტივებული შესყიდვის საშუალებით [72] ხელშეკრულება [73] გაფორმდა შპს „უნიმედი აჭარასთან“. სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 108 700 ლარი. გაწეული ხარჯები პერიოდების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილის სახით:

| პერიოდი | 01.01.12-31.03.12 წწ. | 01.04.12-30.06.12 წწ. | 01.07.12-30.09.12 წწ. | 01.10.12-21.12.12 წწ. | ჯამი |
|---|---|---|---|---|---|
| ხელფასი | 13488 | 14069 | 19895 | 18537 | 65989 |
| ოფისის ხარჯი | 235 | 246 | 380 | 1170 | 2031 |
| მედიკამენტის ხარჯი | 301.71 | 1254.29 | 1792 | 792 | 4140 |
| საწვავის ხარჯი | 2303 | 9178 | 9955 | 8403 | 29839 |
| ტრანსპორტის მომსახურების ხარჯი | 550 | 1336 | 1724 | 3091 | 6701 |
| ჯამი | 16877.71 | 26083.29 | 33746 | 31993 | 108700 |

[69] საქართველოს მთავრობის დადგენილება N92, 15/03/2012 წ.

[70] პროგრამული კოდი 35 03 03 13

[71] სასწრაფო გადაუდებელი დახმარების და სამედიცინო ტრანსპორტირების პროგრამის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი

[72] სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-$10^1$ მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე

[73] ხელშეკრულება N43, 29/02/2012 წ.

მიმწოდებლის მიერ მუნიციპალური პროგრამით გათვალისწინებული თანხის სრულად ათვისება, მათ შორის სატრანსპორტო საშუალებათა საწვავის საშუალო ხარჯი 100 კილომეტრზე - 49 ლიტრი[74], მაღალი რისკის შემცველია.

## ფინანსურ ანგარიშგებაში იდენტიფიცირებული ნაკლოვანებები

- ✓ ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობა, ასევე მის კონტროლს დაქვემდებარებული დაწესებულებები ბუღატრულ აღრიცხვა-ანგარიშგებას აწარმოებენ ელექტრონული სისტემების (პროგრამის) გამოყენების გარეშე, რაც ზრდის შეცდომით გამოწვეული უზუსტობების რისკს.
- ✓ არსებული წესით, მუნიციპალიტეტის კონტროლს დაქვემდებარებული დაწესებულებების ბალანსები (წლიური, კვარტალური) წარედგინება მუნიციპალიტეტის გამგეობას, თუმცა გამგეობაში არ ხორციელდება წარდგენილი ბალანსების მონაცემების უტყუარობის ეფექტური გადამოწმება.
- ✓ მუნიციპალიტეტის კონტროლს დაქვემდებარებული დაწესებულებების უმრავლესობის ბუღალტრული ანგარიშგების ფორმები სრულყოფილად და სათანადოდ არ ასახავს შესაბამისი დაწესებულებების ფინანსურ მდგომარეობას.
- ✓ ხულოს მუნიციპალიტეტის გამგეობაში, ასევე მის კონტროლს დაქვემდებარებულ დაწესებულებებში დებიტორული/ კრედიტორული დავალიანებების მქონე პირებთან არ არის განხორციელებული ურთიერთშედარებები [75] . ასევე, დადგენილი წესით, ხელშეკრულება არ არის გაფორმებული მატერიალურად პასუხისმგებელ პირებთან, თუმცა ინვენტარიზაციის მასალებში მითითებულია შესაბამის ქონებაზე მატერიალურად პასუხისმგებელი პირი[76].

---

[74] (29839ლარი/2.25ლარი)/26944კმX100კმ=49.21ლიტრი

[75] დარღვეულია საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის N70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების მე-13, მე-14 და მე-15 მუხლის მე-2 პუნქტი

[76] დარღვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2007 წლის 28 დეკემბრის N1321 ბრძანებით დამტკიცებული „ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის შესახებ“ ინსტრუქციის მე-5 მუხლის მე-20 პუნქტი

## ბიუჯეტის შესრულების მდგომარეობა

ხულოს მუნიციპალიტეტის 2012 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით შემოსავლების ოდენობა განისაზღვრა 7 532 877 ლარით, ხარჯების ოდენობა - 4 667 485 ლარით, არაფინანსური აქტივების ზრდა - 3 546 450 ლარით, არაფინანსური აქტივების კლება - 20 000 ლარით, ფინანსური აქტივების კლება - 669 611 ლარით, ხოლო ვალდებულებების კლება - 8 553 ლარით. საანგარიშო წლის განმავლობაში ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში ცვლილებები და დამატებები შევიდა ექვსჯერ[77], რომლის შედეგადაც შემოსავლების დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა - 8 149 877 ლარი, ხარჯების დაზუსტებულმა გეგმამ - 5 284 485 ლარი, ხოლო არაფინანსური და ფინანსური აქტივების ცვლილების, ასევე ვალდებულებების ცვლილების გეგმა არ შეცვლილა. დაზუსტებული ბიუჯეტი შემოსავლების ნაწილში შესრულდა 99.79%-ით, ხარჯების ნაწილში - 96.91%-ით. ბიუჯეტის შესრულების მაღალი პროცენტი განპირობებულია წლის ბოლოს განხორციელებული ცვლილებით[78], რომლითაც მოხდა გეგმის კორექტირება საკასო მონაცემების გათვალისწინებით. ინფორმაცია მოცემულია ცხრილის სახით:

| დასახელება | დამტკიცებული გეგმა | დაზუსტებული გეგმა | საკასო შესრულება | დაზუსტებული ბიუჯეტის შესრულება (%) |
|---|---|---|---|---|
| **შემოსავლები** | 7 532 877 | 8 149 877 | 8 132 984 | 99.79 |
| გადასახადები | 60 000 | 60 000 | 32 616 | 54.36 |
| გრანტები | 7 217 377 | 7 834 377 | 7 742 321 | 98.82 |
